

კახაბერ ძაგანია

პირადი მონაცემები

დაბადების ადგილი და თარიღი: ქ. თბილისი, 28/07/1970

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული, ერთი შვილი.

განათლება

1987-1992წწ. ტექნიკური უნივერსიტეტი, ორგანული ქიმიის ფაკულტეტი, ქიმიკოს ტექნოლოგი

1999-2002წწ. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, იურისტი

2015-2018 ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურა, საჯარო მმართველობის დოქტორი. თემა: პოლიტიკური პარტიების როლი საჯარო მმართველობაში

სამუშაო გამოცდილება

1994-95 წ. პოლონეთის სახელმწიფოში ვმუშაობდი სს. "ტელ-ეკო"-ში საერთაშორისო განყოფილებაში

1995-96 წ. ვმუშაობდი თურქეთის რესპუბლიკაში კომპანია „იამარ ჰოლდინგში“ მენეჯერის მოადგილედ

1997-98 წ. საქართველოს პარლამენტში ფრაქციის მთავარ სპეციალისტად

1999-2002 წ. ქ. თბილისის ვიცე-პრემიერის აპარატის უფროსად

2002-06 წ. ქ. თბილისის საკრებულოს დეპუტატად ვიყავი არჩეული და ვხელმძღვანელობდი საკრებულოს იურიდიულ კომისიას

2008-12 წ. არჩეული ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრად

1997-2012 წ. ვიყავი პოლიტიკური პარტია „ლეიბორისტების“ ერთ-ერთი ლიდერი

2012 წლიდან დღემდე ვარ პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი

2018 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორის საკითხების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ლექციების ვკითხულობ სისხლის სამართლის და ევროპული კონვენციის მიმართულებით

1993 წ. მოხალისეს სტატუსით მონაწილეობას ვიღებდი აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებაში, პირველი ბრიგადის დანაყოფში. ვარ ომის ვეტერანი

ენები

ქართული (მშობლიური)
რუსული (სრულყოფილად)
ინგლისური (სალაპარაკო)
თურქული (სალაპარაკო)
პოლონური (სალაპარაკო)

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

Windows/Microsoft Office/Outlook/Excel/Word/Power Point/ PageMaker

კახაბერ მაგანიას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

დავიბადე ქ. თბილისში 1970 წლის 28 ივლისს, ფიზიკოსების ოჯახში. მყავს მეუღლე ნინო მაგანია უცხო ენების სპეციალისტი და შვილი ბექა მაგანია სკოლის მოსწავლე.

დაკავებული ვიყავი სპორტით და ვთამაშობდი წყალბურთს საქართველოს ნაკრებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობისას მიღებული მაქვს მედლები და თასები.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ტექნიკურ უნივერსიტეტში ორგანული ქიმიის ფაკულტეტზე, ხოლო მოგვიანებით პოლიტიკით დაინტერესებულმა და საჯარო სამსახურში მუშაობის სურვილის გაჩენის გამო გადავწყვიტე ჩამეხარებინა თ.ს.უ. -ში იურიდიულ ფაკულტეტზე და გავმხდარიყავი იურისტი.

ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წლებს დაემთხვა ეროვნული მოძრაობის გააქტიურება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამას

მოყვა რუსეთის ფედერაციის მზაკვრული პასუხი და საქართველოს აფხაზეთის რეგიონში დაიწყო სამხედრო კონფლიქტი. მე მონაწილეობას ვიღებდი ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ თვითგამორკვევის ფორმატში, თავისუფლების ლოზუნგით დაგეგმილ აქციებში რიგით მონაწილედ, ასევე აფხაზეთში მოხალისედ წავედი საქართველოს ტერიტორიების დასაცავად და ვარ ომის ვეტერანი.

2003 წელს წავედი უცხოეთში (პოლონეთში, თურქეთში) და ვმუშაობდი მსხვილ კომპანიებში წამყვან პოზიციებზე.

1997 წელს ჩამოვედი საქართველოში და დავინტერესდი პოლიტიკით. ჩემი პოლიტიკური სიმპატია იხრებოდა მემარცხენე მიმართულების პარტიებისკენ და ამიტომ გავწევრიანდი „ლეიბორისტულ“ პარტიაში. ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სტატუსით პოლიტიკურად ვებრძოდით ჯერ შევარდნაძის ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებას. „ლეიბორისტული“ პარტიის თავმჯდომარისა და დანარჩენი ლიდერების პოლიტიკური შეხედულების დაშორიშორების გამო პარტიის პოლიტიკური კომიტეტი გამოვეყავით მას და დავაარსეთ მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსი“.

დღემდე ვეწევი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, ვარ ერთერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივანი. ხშირად მაქვს საჯარო და სატელევიზიო გამოსვლები. სატელევიზიო გამოსვლებში ოპონენტებთან დებატის ფორმატში ვიღებ მონაწილეობას, სხვა და სხვა პოლიტიკურ, იურიდიულ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მსგავს საკითხებზე ვატარებ პრესკონფერენციებს.

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებული აქვს პედაგოგიურ საქმიანობას (პრაქტიკულად ისეთი როგორც ოჯახს) წარმატებულ სტუდენტებს ვაძლევ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო საქმიანობაში, სიტყვით გამოვიდნენ საპარლამენტო კომიტეტების მოსმენებზე საკანონმდებლო წინადადებების ავტორების სტატუსით, ვატარებთ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს. ეს მათ ძალიან ეხმარებათ პრაქტიკის გავლის თვალსაზრისით, ხოლო პირადად მე ეს ყველაფერი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.